ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1362953

ნომერი: AR1233611

თარიღი : 01.07.2014

გაცემის თარიღი : 02.07.2014

გაცნობის თარიღი : 03.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 81 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ მახათაძე პ/ნ 01026007757
- აკაკი შანიძის ქ. #25

ორგანიზაცია:

- სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი კოდი: 202 352 514

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1233611 (01.07.14.) განაცხადის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: ამავე მიწის ნაკვეთზე სამსახურის #108092 (03.04.12) გადაწყვეტილებით, ტერიტორიაზე არსებული შენობების რეკონსტრუქციის მიზნით უკვე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და #206945 (08.06.12) ბრძანებით შეთანხმებულია პროექტი. ავტოგასამართი სადგურის სპეციპიკიდან გამომდინარე საჭიროა დამატებითი მითითებების გათვალისწინება. გამომდინარე აქედან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ან წინა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების განმცხადებლის – მოქ. შოთა რეხვიაშვილის მინდობილობის საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება ზემოაღნიშნულ დოკუმენტში. რისთვისაც ამავეგანაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა, დაამატოთ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ან დააფიქსიროთ აღნიშნული პიროვნება თანაგანმცხადებლის ველში და გაპში ცვლილების განსახორციელებლად აირჩიოთ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები> მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია2014 წლის 01 ივლისს საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა02 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან15 დღიანი ვადა მოთხოვნის დასაზუსტებლად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 10 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაზუსტებული ინფორმაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.